ტერი პრატჩეტი

მაგიის ფერი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2010

“THE COLOUR OF MAGIC” by Terry Pratchett
„მაგიის ფერი“. ტერი პრატჩეტი

მთარგმნელი: ნინო მეუნარგია
რედაქტორი: ნოდარ მანჩხაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქეთევან ღონღაძე

Copyright © Terry Pratchett 1983
First published by Colin Smythe Ltd, Great Britain.

საავტორო უფლება თარგმანზე
© 2010 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-018-7

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სერ ტერენს დევიდ ჯონ პრატჩეტი ანუ, მოკლედ, ტერი პრატჩეტი სამართლიანად მიიჩნევა განსაკუთრებული ჟანრის, ე.წ. „კომედიური ფენტეზის“ ფუძემდებლად. მის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებში, „დისკოს სამყაროს“ რომანებში არის ყველაფერი — ჯადოქრები, დრაკონები, ჭინკები, პაროდია, სატირა, სუფთა იუმორი...

„მაგიის ფერი“ პირველი რომანია „დისკოს სამყაროს“ სერიიდან. ამ რომანის დასაწყისშივე მიხვდებით, რა უსაზღვრო ფანტაზიის პატრონია ტერი პრატჩეტი, როგორ უარყოფს ჩვენთვის ცნობილი რეალობისთვის ჩვეულ ყველანაირ საზღვრებს და რატომაა ეს რომანები ასეთი პოპულარული მთელ მსოფლიოში — პრატჩეტი კითხვადობის მიხედვით მეორე ადგილზეა დიდ ბრიტანეთში და მეშვიდეზე — მსოფლიოში. მისი ნაწარმოებები 36 ენაზეა თარგმნილი, ახლა კი ამ ენებს 37-ე, ქართულიც დაემატა.

იმოგზაურეთ დისკოს სამყაროში და შეუერთდით ტერი პრატჩეტის მოყვარულთა უსაზღვრო არმიას.

სარჩევი

მაგიის ფერი: *პროლოგი* 7
მაგიის ფერი 10
რვათა მოვლინება: *პროლოგი* 107
რვათა მოვლინება 111
გველეშაპის მიზიდულობა 168
კიდესთან ახლოს 249

მაგიის ფერი

პროლოგი

განზომილებათა შორეულ და ძალიან ძველ სისტემაში, ასტრალურ სიბრტყეზე, რომელიც ფრენისთვის არასოდეს ყოფილა განსაზღვრული, ბობოქარი ვარსკვლავური ნისლი თრთის და იყოფა...

შეხედეთ...

...უზარმაზარი კუ, დიდი ატუინი დინჯად მიცურავს ვარსკვლავთშორის სრუტეში. ძლიერი კიდურები წყალბადის თრთვილითა აქვს დაფარული, უზარმაზარი, ძველისძველი ბაკანი კი მეტეორიტების კრატერებს დაუთხრია. ზღვის ხელა თვალები, რომლებზეც ასტეროიდული მტვერია გადაკრული, განუწყვეტლივ მიზნისკენაა მიშტერებული.

კუს ტვინი, რომელიც ზომით დიდ ქალაქს არ ჩამოუვარდება, გეოლოგიური სიზანტით ფიქრობს მხოლოდ ერთ რამეზე: ტვირთზე.

ტვირთის უდიდეს ნაწილს, რა თქმა უნდა, შეადგენენ ბერილია, თუბული, დიდი ტ'ფონი და ჯერაკინი — ოთხი გიგანტური სპილო, რომელთა ფართო და ვარსკვლავური სინათლისგან გარუჯულ მხრებზე სამყაროს დისკო ასვენია. დისკოს გარს უზარმაზარი ჩანჩქერის ქაფი აქვს ჩარჩოდ შემორტყმული, ზემოდან კი ზეცის ხასხასა ლურჯი გუმბათი ადგას.

ასტროფსიქოლოგებმა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, რაზე ფიქრობენ სპილოები.

დიდი კუს არსებობა მხოლოდ ჰიპოთეზა იყო, სანამ პატარა და მეტად იდუმალმა სახელმწიფომ, კრულმა, რომლის ირგვლივ შემორკალული მთები უფსკრულს გადაჰყურებენ, ერთ-ერთი კლდის მწვერვალზე სპეციალური ამწე მოწყობილობა არ ააგო. ამ ამწით კიდიდან უფსკრულში კვარცისფანჯრებიანი, თითბრის ხომალდი ჩაუშვეს. ხომალდში რამდენიმე დამკვირვებელი იჯდა, რომელთა მიზანსაც ნისლის საფარს მიღმა გაღწევა წარმოადგენდა.

ამ პირველმა ასტროზოოლოგებმა, რომელთა ხმელეთზე აყვანასაც ბევრი მონის შრომა დასჭირდა, დიდძალი ინფორმაცია შეაგროვეს დიდი ატუინისა და გიგანტური სპილოების გარეგნობისა თუ ბუნების შესახებ. თუმცა, ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი სამყაროს ბუნებისა და მიზნების ფუნდამენტურ საკითხებში გასარკვევად.

მაგალითად, რა სქესისაა ატუინი? უაღრესად ავტორიტეტული ასტროზოოლოგების აზრით, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს პასუხი მანამ არ გაეცემოდა, სანამ არ შეიქმნებოდა უფრო დიდი და ძლიერი ამწე, რომელიც სადამკვირვებლო აპარატს უფრო ღრმად ჩაუშვებდა უფსკრულის სიღრმეში. მანამდე კი მეცნიერებს კოსმოსის შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეეძლოთ.

არსებობდა, მაგალითად, თეორია, რომლის თანახმად, ატუინი მოვიდა არსაიდან და მუდმივად იმოძრავებს

არსაით თანაბარი, დაბალი სიჩქარით. ეს თეორია საკმაოდ პოპულარული იყო მეცნიერთა შორის.

არსებობდა ალტერნატიული თეორიაც, რომელსაც რელიგიურად განწყობილ სფეროებში მეტი მხარდამჭერი ჰყავდა: თითქოს ატუინი თავისი დაბადების ადგილიდან შეწყვილების ადგილისკენ მიემართება, ისევე, როგორც სხვა ვარსკვლავები, რომლებიც, რა თქმა უნდა, გიგანტური სპილოებით გადაადგილდებიან. მას შემდეგ, რაც კოსმიური რეპტილიები ერთმანეთს შეხვდებიან, დგება სიყვარულის ხანმოკლე და ვნებიანი სეზონი, პირველი და უკანასკნელი მათ ცხოვრებაში. ამ ვნებიანი კავშირის შედეგად იბადებიან ახალი კუები, რომელთა ბაკნებზე ახალი სამყაროები ჩნდება. ეს ჰიპოთეზა „დიდი შეწყვილების თეორიის“ სახელით იყო ცნობილი.

ისე მოხდა, რომ კოსმოჯავშნოსანთა ერთი ახალგაზრდა მკვლევარი ახალი ტელესკოპის გამოცდისას, რომლის დახმარებითაც დიდი ატუინის მარჯვენა თვალის დიფუზური არეკვლის კოეფიციენტის გაზომვას აპირებდა, იმ საბედისწერო საღამოს პირველი გარე დამკვირვებელი აღმოჩნდა, რომელმაც მსოფლიოს უძველესი ქალაქის თავზე ხანძრის ბოლი შენიშნა.

იმ საღამოს მეცნიერი ისე ჩაეფლო თავის გამოკვლევებში, რომ ეს ამბავი სრულიად გადაავიწყდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც პირველი იყო.

იყვნენ სხვებიც...

მაგიის ფერი

ცეცხლი ბობოქრობდა ორნაწილიან ქალაქ ანქ-ორპორკში. ჯადოქრების კვარტალში მის ლურჯსა და მწვანე ნათებას მერვე, ოქტარინის ფერის უცნაური ნაპერწკლები ერეოდა. ზეთის საწყობებთან, რომლებიც ვაჭრების ქუჩის მთელ გაყოლებაზე იყო განლაგებული, ცეცხლი კაშკაშა შადრევნებითა და აფეთქებებით მიიწევდა წინ. პარფიუმერების ქუჩებზე ის ტკბილი სურნელით იწვოდა, ხოლო როცა აფთიაქებში შენახულ იშვიათ, გამხმარ ბალახებს მოედო, ხალხს სიგიჟე დაერია და ღმერთთან ლაპარაკი დააწყებინა.

იმ დროს, როდესაც მთელი ცენტრალური მორპორკი ცეცხლში იყო გახვეული, მდინარის მეორე ნაპირზე გაშლილი ანქის მდიდარი და პატივცემული მოქალაქეები შექმნილ მდგომარეობას გმირულად უმკლავდებოდნენ, რაც უმთავრესად ხიდების გაშმაგებულ ნგრევაში გამოიხატებოდა. მორპორკის დოკებში მარცვლეულით, ბამბითა და ხე-ტყით დატვირთული, გუდრონით დაფარული გემები მხიარულად გიზგიზებდა. მათი მისაბმელი თოკები დაიწვა და აწყვეტილი გემები ზღვის მიქცევისას მდინარე ანქის ტალღებმა თან გაიყოლა. აბრიალებული გემები ზღვისკენ მიცურავდნენ და მდინარისპირა სასახლეებსა და კოტეჯებს ცეცხლით ასაჩუქრებდნენ. ქარი ნაპერწკლებს მდინარიდან შორს მიაქანებდა და ნაპირზე განლაგებულ ბაღებსა და სათივეებში ფანტავდა.

ბოლი მრავალი კილომეტრის სიმაღლის სვეტად

ატყორცნილიყო ცაში და დისკლანდიის ყოველი წერტილიდან კარგად მოჩანდა.

ეს სვეტი შთამბეჭდავად ჩანდა ქალაქიდან რამდენიმე ლიგის მანძილზე მდებარე გრილი და ჩრდილიანი ბორცვის წვერიდან, საიდანაცორი ადამიანი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ხანძარს.

მათგან უფრო მაღალი გულმოდგინედ მიირთმევდა ქათმის ბარკალს და თან საშუალო სიმაღლის ადამიანზე ოდნავ მოკლე ხმალს ეყრდნობოდა. რომ არა ის ფრთხილი გონიერება, რომელიც მის იერში გამოსჭვიოდა, ვინმეს შეიძლება ცენტრალიის მკვიდრ ბარბაროსადაც კი ჩაეთვალა.

მისი ბევრად უფრო დაბალი თანამგზავრი თავით ფეხამდე ყავისფერ მოსასხამში იყო გახვეული. მოგვიანებით, როდესაც მას მოძრაობის საშუალება ექნება, დავინახავთ, რომ კატასავით მოქნილია.

ოცი წუთი ისე გავიდა, არც ერთს ხმა არ ამოუღია, თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე და უშედეგო კამათს იმის შესახებ, სად მოხდა ყველაზე ძლიერი აფეთქება: საბაჟოს საწყობში, სადაც ზეთი ინახებოდა, თუ ჯადოქარი ქერიბლის სახელოსნოში. ამაზე იყო დამოკიდებული მათი მომავალი ნადავლი.

მაღალმა ძვლის გამოხრა დაამთავრა და სევდიანი ღიმილით მოისროლა ბალახში.

— აღარ არის პატარა ხეივნები, დაიწვა, — თქვა მან — მე კი მომწონდა.

— ხაზინებიც მიყვა, — დააყოლა დაბალმა. შემ-